ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3595620

ნომერი: AR1545685

თარიღი : 01.10.2017

გაცემის თარიღი : 06.10.2017

გაცნობის თარიღი : 11.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგურ "ლილო"-ს მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვ.2/2) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ჩაფიძე პ/ნ 01017019181
- თბილისი ყაზბეგის ქ. N 19 ბ. 71

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
- 11/09/2015წ. № 2185511, 18/07/2015წ. № 2017711, 30.04.2014წ. №1244996, 28.03.2014№წ. 1193309, 21.02.2014წ. №1136378 და 17.02.2014წ. №1119465 გადაწყვეტილებებით საპროექტო ტერიტორიაზე შეთანხმებულია 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობები და ასევე II კლასის დამხმარე სათავსო (საწყობი) ობიექტის არქიტექტურული პროექტი.
ვინაიდან 11.06.2014წ. №1294568 გადაწყვეტილებით საპროექტო ტერიტორიაზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო თქვენ მიერ მოთხოვნა დაყენებულია ისევ 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობის ახალ მშენებლობაზე და ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე უსისტემოდ არის განხორციელებული მშენებლობები და ჩამოყალიბებულია ქაოტური განაშენიანება, სამსახურს ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება 11.06.2014წ. №1294568 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესაბამისად მიაჩნია შესაძლებლად.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია თქვენი მოთხოვნის დაკმაყფილების შესაძლებლობას

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.